სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო
ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

07.05.2010

მიღებულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
04.06.2010წ. №26 დადგენილებით

და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი
საბჭოს მიერ 23.06 2010 წ. № 12
გადაწყვეტილებით.

№163

თბილისი 2010წ.

07.05.2010წ.

1. ზოგადი დებულებები

1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში (შემდგომში - სტუ) თვითდაფინანსებაზე მყოფი (საფაკულტეტო) სასწავლო, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული – სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (შემდგომში ცენტრი) შექმნილია და დამტკიცებულია სტუს-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 04.06 № 260 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 23.06. 2010 წ. № 12 გადაწყვეტილებით.

1.2 ცენტრი თავისი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს წესდების, წინამდებარე დებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.3 ცენტრი მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით, იგი შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე შეკვეთებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, მისი დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად;

1.4 საჭიროების შემთხვევაში ცენტრი შუამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნის სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;

1.5 რექტორის, შესაბამისი დარგის რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ცენტრის ანგარიშის რიგარეშე განხილვა;

2. ცენტრის საქმინობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

2.1 სამრეწველო-სამოქალაქო შენობა-ნაგებობების პროექტირება, დაზიანებული შენობების კვლევა, დიაგნოსტიკა და ექსპერტიზა, არსებული პროექტების ექსპერტიზა;

2.2 თანამედროვე სამშენებლო მეცნიერების მიღწევების დანერგვა საინჟინრო პრაქტიკაში;

2.3 ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამეცნიერო-დიაგნოსტიკური კვლევა, დაპროექტება, პროექტების ექსპერტიზა, ჰიდროტექნიკური სისტემების მოდელირება და ფუნქციონირების ხარისხის შეფასება;

2.4 სპეციალური დანიშნულების ობიექტების დიაგნოსტიკა და ექსპერტიზა, მათი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის დამცავი სისტემების შემუშავება;

2.5 დაზიანებული შენობა-ნაგებობებისათვის აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტების მომზადება;

2.6 მშენებლობაში საინჟინრო კომუნიკაციების სისტემების (წყალმომარაგება, წყალარინება, თბოაირმომარაგება ვენტილაცია) თანამედროვე სისტემების დანერგვა, პროექტირება, არსებული სისტემების რეაბილიტაცია;

2.7 ლოგისტიკური პროექტების დამუშავება და ექსპერტიზა;

2.8 პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება სათანადო სერტიფიკატის გაცემით (იხ. დანართი №1);

2.9 თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების სამაგისტრო და აკადემიური პროგრამებში დანერგვა;

2.10 ყველა ის საქმიანობა, რაც დაშვებულია და არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

3. ცენტრის შემადგენლობა და მართვა

3.1 ცენტრის ძირითად შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ:

1. შენობა-ნაგებობების, საინჟინრო კომუნიკაციების კვლევის, პროექტირების, აღდგენა-გაძლერების და რეკონსტრუქციის განყოფილება;
2. ჰიდრო-ტექნიკური სისტემების სასწავლო-სამეცნიერო საპროექტო განყოფილება;
3. ტექნიკური დიაგნოსტიკის და ექსპერტიზის განყოფილება;
4. საინჟინრო ლოგისტიკის, სამეცნიერო-სასწავლო განყოფილება;
5. მშენებლობის ტექნოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო განყოფილება;

3.2 ცენტრს, ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით; (ცენტრის უფროსის თანამდებობა არ წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობას);

3.3 ცენტრის უფროსი უფლებამოსილია:

ა. განახორციელოს კონტროლი ცენტრის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ადმინისტრაციულ ღონისძიებებზე;

ბ. მოაწყოს ცენტრის სამეცნიერო შრომების, განხორციელებული მიმდინარე პროექტების, გამოშვებული შედგენილი სახელმძღვანელოების, ახალი სამუშაოების და. ა.შ. პრეზენტაციები;

გ. განახორციელოს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა;

დ. მოამზადოს ხელშეკრულების პროექტები და გასაფორმებლად წარუდგინოს სტუ-ს რექტორს;

3.4 ცენტრის უფროსს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოების და საგანმანათლებო

საქმინობის მოცულობის, მიმართულებების, შესრულების ვადების, შინაარსის და ხასიათის განსაზღვრისათვის, აგრეთვე ცენტრისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად გამოყენების, შენახვის და გამართული მდგომარეობაში შებარჩუნებისათვის;

3.5 ცენტრის პერსონალი შედგება სამეცნიერო, სასწავლო და დამხმარე პერსონალისაგან;

3.6 ცენტრის პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე;

3.7 ცენტრის პერსონალის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება ცენტრის შემოსავლების მიხედვით;

3.8 იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულების გაფორმება ხორციელდება უნივერსიტეტში მიღებული წესის და ფორმების შესაბამისად;

3.9 ცენტრის ხელმძღვანელი ყოველი საფინანსო წლის ბოლოს ანგარიშს აბარებს სტუ-ს ბუღალტერიას, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს;

4. ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

4.1 ცენტრი განლაგებულია: კოსტავას 68ბ I სასწავლო კორპუსი.

4.2 ცენტრი საქმიანობას წარმართავს თვითდაფინანსების პრინციპით. ამავე დროს ის არ არის საფინანსო - საგადასახადო სისტემის განცალკავებული სუბიექტი და წარმოადგენს უნივერსიტეტის საფინანსო სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს;

ცენტრის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკას (წესს) განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, რომლის საფუძველზეც საგეგმო-საფინანსო განყოფილება ეწევა ფინანსურ მენეჯმენტს.

4.3 სამუშაოების წარმოების საფუძველს წარმოადგენს ცენტრის უფროსის წარდგინების საფუძველზე დამკვეთსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება;

4.4 გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე;

4.5 ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები, ხელშეკრულებები, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და მისთანები რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით;

5 ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

5.1 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;

6 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

6.1 დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს ცენტრის უფროსი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

7 დასკვნები დებულებები

7.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისათანავე;